საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 46 ნოემბერი 3 1896 წ. № 46

შინაარსი: კეთილი განზრახვა ა. ყუბისთველისა.—კვირიდან კვირამდე მაზაკვალისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—უცხოეთის ქრონიკა XX-სი.—***, ლექსი ი. ეგლოშვილისა.—ნეკროლოგი ნ. ტ. დადიანისა.—თვალთ-მაქცები ალეკერში.—„კავკასის“ კორესპონდენციები.—ხმა სანპეტერბურგიდან, ლექსი პატარმარისა.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (შემდეგი) საზღვარგარეთელისა.—ოსმალური ზღაპარი (შემდეგი) —შეცდომის გასწორება და განცხადებანი.

№ X „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფრიგდა ხელის მომწერლებს.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ ექიმ. ს. ვ. თოფურიასი. ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ, შინაგან სენით და თვალებით ავათმყოფთათვის. გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს: ექ. ს. ვ. თოფურია.

ხირურგიული, შარდით და ათაშანგით ექ. ფ. ბ. გერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთ და საბებიოს—ქალი—ექიმი. მ. ფ. კაგანი.

თვალებით ავათმყოფებს— ექიმი ი. ბ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კაბინეტი. იქვე შეიძლება წამლობა ელექტრონული ძალით და მასაჟით.

საავათმყოფოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.

(10—5)

წარსული ექვსი წლის „ჯ ე ჯ ი ლ ი“ (36 წიგნი) დაეთმობა სახალხო და სკოლის ბიბლიოთეკებს 8 მან. (1890, 91 და 92 წწ. „ჯეჯილი“ უკვე მოწონებული და ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევისაგან სკოლის ბიბლიოთეკებისათვის).

კეთილი განზრახვა.

ვისაც ჩვენი ლიტერატურის ზრდა განვითარებისათვის თვალ-ყური უდევნებია, ვინც ჩვენი გონებრივი განვითარებია ისტორიის სვე-ბედს ასე თუ ისე მაინც ჩაფიქრებია, იგი უთუოთ იმ სამწუხარო გარემოებას აღნიშნავდა, რომ ქართველი კაცის აზრი და გონება, მოკლებული სამშობლო ნიადაგზე წერთნა-ვარჯიშობას, ვიწრო შემოფარგულ კალაპოტშია მოთავსებული.

ეს დროთა ვითარების გამო გამოწვეული სამწუხარო მოვლენა თითოეულ შეგნებულ ქართვე-

ლისათვის თვალსაჩინოა და, აი, კიდეეაც ეს გახლავთ მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ ხანში ზოგიერთმა ხალხის გულ-შემატკივარმა პირებმა განიზრახეს ამ გვარი გონების გამათახსირებელი და დამაჩლუნგებელი სენი ხალხისათვის თავიდან მოეშორებიათ, და მით ქართველი კაცის გონების განვითარების საქმე სწორ და ნამდვილ გზაზე დაეყენებიათ.

სამწუხარო და საეალალო ისაა, რომ ეს „ზოგიერთი ხალხის გულ-შემატკივარი პირები“ ჩვენში ფარნით საძებნელია, მაშინ, როდესაც უმაღლესათ კურს დამთავრებულნი ქართველებს არა ერთი და ორი მოეპოვებათ. სად არიან უკანასკნელნი, რას აკეთებენ, ემსახურებიან თვის აღმზრდელ ქვეყანას იმ რიგათ და იმ წესზე, როგორც დღევანდელი ცხოვრების ვითარება მოითხოვს? ამ კითხვების ასე, თუ ისე ახსნა – გამოძიებაში არ შევდივარ და ეგ არც ჩემი წერილის მიზანს შეეხება; ამ კითხვების გადაწყვეტა თვით გულწრფელი და მართლმსაჯულების მექონე მკითხველთათვის მიმინდია. მე მხოლოთ აქ აღვნიშნავ იმ სამწუხარო გარემოებას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ქართველს სამშობლო ენაზე განვითარება, ჭკუა-გონების ვარჯიშობა არ ეხერხება; ქართველი მარტო ქართული ენის საშუალებით შორს ვერ წავა, იგი თანამედროვე ცხოვრების განვითარებას კუდი-კუდში ვერ დევს, უთუოთ უკან ჩამორჩება.

დიახ, სამწუხაროა ეს გარემოება და მით უფრო მაშინ, როდესაც მოეპოვება არა ერთი და ორი უმაღლესათ კურს-დამთავრებულნი, რომლებიც მოღვაწეების სახელით ინათლებიან.

დიახ, სამწუხაროა, მკითხველო, ეს გარემოება, ამას შენც გრძნობ, მეც და ბევრი კიდევ სხვა, მაგრამ ცხოვრება კი მაინც თავისას არ იშლის, იგი თვის ულუკუარ სარბიელზე მიდის უკიშრათ!..

ავიღოთ, მაგალითისათვის, თუნდ ჩვენი საზოგადოების ის პირები, რომლებიც პრაქტიკული, თუ თეორიული მოღვაწეობით სწავლა-განვითარების საქმეს ემსახურებიან ჩვენში, ანუ უკვეთ ვთქვათ, უნდა ემსახურებოდენ. ვინ არიან ამ ეკლიან ასპარეზზე თავდადებულნი მოღვაწენი, ვის გაუთბია ქართველი მოწაფის გული რომელიმე საგნის სამშობლო ენაზე შეთვისებით? ყველას, გიპასუხებთ, მხოლოთ მათ კი არა, ვისაც უფრო მეტი მოეთხოვებათ, ვისაც უნივერსიტეტები დაუმთავრებიათ და ის წარჩინებაც მიულიათ, რომ სავაჟო თუ საქალეო გიმნაზიებში მასწავლებლობდენ. ამ ეაჟბატონებს [1]) ჯერ-ჯერობით ჩხირიც კი არ გადუბრუნებიათ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ ამ დეე-გმირებს ქართველი საზოგადოება, ქართველების წრფელი და კანონიერი განზრახვანი რაღაც საფრთხო საგნათ მიუჩნევიათ და, რაც ძალი და ღონე აქვთ, გაურბიან და გაურბიან.

მკითხველო, თუ ამ მოვლენისათვის ჯერ-ჯერობით ყურადღება არ მიგიქცევია, მიიხედ-მოიხედე და თვითონვე სამწუხაროთ შეამოწმებთ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა იმდენათ დაბრმავებულა, რომ ამ გმირ-პედაგოგებს დიდი პატივისცემით და თავაზიანობით იხსენიებს და, თუ შემთხვევამ და გარემოებამ ხელი შეუწყო, ისეთ ალაგას წამოასკუპებს, რომ გინდა არ გინდა, საზოგადო მოღვაწე უნდა უძახო. რათაო? განცვიფრებით კითხულობ. – პატივცემული პირია, კარგი პედაგოგია, გიმნაზიაში მასწავლებლათ იყო, თუ არისო და სხვა-და სხვა, გესმის პასუხათ.

— „ახირებული პრეტენზიაა“, ღმერთმანი, გიმნაზიაში კარგ და პატიოსან პედაგოგათ როგორ ჩათვლიან ისეთ პირს, რომელსაც თავის თავი ვერ შეუგნია!..

ყოველ ქვეყანაში სწავლა-განვითარების საქმეში პედაგოგებს უმთავრესი ადგილი, თუ უპირველესი არა, ჰქერიათ და, აი, სწორეთ, ამისათვის შევეხე ჩვენი ერის პესტალოცებს.

დროა, ჩემი ფიქრით, ყველა ჩვენი საზოგადოების პროფესიის პირმა თვალი გაახილოს, დროა თითოეულმა ჩვენგანმა თავიანთი წვლილი შეიტანოს იმ საზოგადო სალარაში, რომელსაც ერის გონების განვითარების საქმეს ეძახიან; დროა თითოეულმა ქართველმა ის აზრი შეიგნოს და შეისისხლ-ხორცოს, რომ ყოველივე ერის წინმსვლელობის საქმე მჭიდროთ არის დაკავშირებული ამავე ერის გონებრივ განვითარებასთან!

ამ უკანასკნელი აზრის მნიშვნელობა განჯაში მცხოვრებ ქართველებს კარგათ შეუგნიათ და ამისათვის განზრახვა აქვთ დროა გამოშვებით ქართველ საზოგადოებას მიაწოდონ ადვილათ გასაგები სამეცნიერო ნათარგმნი წიგნები. ამ აზრს თანაუგრძნობს თითქმის მთელი განჯის და განჯის საგუბერნიის ქართველობა, რომელიც ენერგიულათ შეუდგა საქმის რიგიანათ მოწყობას. შეადგინეს პატარა წრე მთარგმნელებისა, რომელთაც სათარგმნი მასალა უკვე დაურიგდათ. თითოეული ამ კეთილი განზრახვის თანამგრძნობელი ყოველ ოც რიცხვში (დროც კარგია) იხდის ოც შაურზე არა ნაკლებ. საქმე ისე კარგათაა მოწყობილი, რომ აპრილიდან საწვერო ფუ-

[1]) მე მსედველობაში არა მყავს ის პირნი, რომელნიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოსულან სამასწავლებლო ასპარეზზე.

ლები ნაღდათ იკრიბება, თარგმნები ზოგი მზათ არის და ზოგი უკვე მზადდება და სადაც არის სარედაქციო კომისიას გადაეცემა განსახილველათ.

ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ განჯის ქართველობა ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს, რათა მათ მიერ განზრახული წიგნების გამოცემის საქმე რიგიან ნიადაგზე დაიყენოს.

როგორც მოგეხსენებათ, ყოველკვარ კეთილ განზრახვას და თვით კეთილ საქმესაც ბევრი სხვადა-სხვა ხიფათი და დაბრკოლებანი ეღობებიან ხოლმე წინ, და მაშასადამე, აქაც მოსალოდნელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სხვა რომ არა იყვეს-რა, ყოველ წლივ 300—400 მანეთი მაინც დარჩებათ განჯელებს შეგროვილი, რომელსაც აქაური ქართველობა რომელსამე კეთილ საქმეს მოახმარებს, და ამის უარი კი, თუ მკითხველო შენც დამეთანხმები, განჯელებს ჰქონიათ და კიდევაც ექნებათ.

ა. ეუმისოველი.

კვირიდან კვირამდე.

ᲒᲐᲡᲣᲚᲛᲐ კვირამ მოგვიტანა ფრიად შესანიშნავი განმარტება სენატისა განძევებულების შესახებ, რომელიც იყო დასტამბული გაზეთ „პრიაზოვის კრაიში“.

საქმე აი რაში ყოფილა. ერთი ოსი კოსტანტინე ხეთაგური ელადიკავკაზის მაზრის უფროსს გაუგზავნია, ანუ უკეთ ვთქვათ, თავის სამშობლო ქვეყნიდან განუძევებია იმიტომ, რომ ის გარეულა იმ ოსების რიცხვში, რომელთაც საერთო თხოვნა გაუგზავნიათ ობერ-პროკურორთან, ოსური საქალბო სკოლის დახურვის გამო. ელადიკავკაზის მაზრის უფროსი თავის განჩინებაში ასე ამბობს: „კ. ხეთაგური გაგზავნილ იქნა ჩემ მიერ თავის ქვეყნიდან ელადიკავკაზში მცხოვრებ ოსების შეგულიანებისა და წაქეზებისათვის, რომ იმათ უკანონო თხოვნა გაეგზავნათ უმაღლესი მთავრობის წინაშეო“.

კოსტანტინე ხეთაგურს ამ გადაწყვეტილების გამო მოავლეს ხელი და გაგზავნეს თავის ქვეყნიდან. მაგრამ კ. ხეთაგურმა არ დაადუმა ეს საქმე და მიართვა საჩივარი მმართველ სენატს ელადიკავკაზის მაზრის უფროსზე, უსამართლოთ მომექცაო. ეს საჩივარი განიხილა სენატის პირველმა დეპარტამენტმა.

ამ საქმის გამო სენატის პირველმა დეპარტამენტმა გაასამართლა თვით კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებაც, რომელიც მას გადაუცია თავის კანცელარიის დირექტორის პირით ელადიკავკაზის მაზრის უფროსისათვის. როდესაც კ. ხეთაგურის საჩივრის გამო სენატმა ელადიკავკაზის უფროს მოთხოვა პასუხი, ამან იმართლა თავი მითი, რომ კ. ხეთაგურის განძევების უფლება თვით მთავარ-მართებელმა მომინიჭა, 6 აგვისტოს 1883 წელს მის მიერ განკარგულების ძალით, რომელიც მან № 1,037 მომწერაო.

„უკანასკნელ მათის იმპერატორებითი დიდებულებისა მმართველმა სენატმა მოისმინა რა საჩივარი კ. ხეთაგურისა ელადიკავკაზის მაზრის უფროსზე, რომელსაც ვითომც აღნიშნული კ. ხეთაგური უსამართლოთ განეძევოს თავის სამშობლო ქვეყნიდან, დადგინა: განკარგულება ელადიკავკაზის, ანუ თერგის მაზრის უფროსისა, როგორც უკანონო და მისდამი მინიჭებულ უფლებას აღმატებული მოქმედება, მოშლილ იქმნას“.

შემდეგ სენატმა განიხილა რა განკარგულებაც მთავარ-მართებელისა, 1883 წელს მოხდენილი, რომლის ძალითაც მთავარ-მართებელმა თავისი, პირად მაზე რწმუნებული ხელმწიფე იმპერატორის მიერ, უფლება გადასცა თავის ხელქვეითს და ასეთი წესი დღემდისაც მოქმედებსო, ეს ყოველად შეუწყნარებელი უნდა იქმნეს უმაღლეს მთავრობისაგან შემდეგი გარემოების გამოვ. კავკასიის მთავარ-მართებელს, როგორც კავკასიის ჯარების მხედართ მთავარს და ატამანს კავკასიის ყაზახის ჯარისას იმდენი პირადი ნდობა კი აქვს უმაღლესი სახელმწიფო უფლებისაგან, რომ რაც პირად მას უფლება ეძლევა, ის არამც თუ სხვა მთავრობის კაცს, არამედ არც თვით მის თანაშემწეს არ გადაეცემა, როგორც ჩანს კავკასიის დაწესებულებათა 29 მუხლიდან.

შემდეგ სენატი განმარტებს, რომ თუ მთავარ-მართებელს მინიჭებული აქვს უფლება კავკასიის დაწესებულებათა 26 მუხლის ძალით გადაასახლოს ადგილობრივი მცხოვრები,—ეს მოხდება მხოლოთ იმ პირობით, რომ მან უნდა აასრულოს ის კანონიერი წესი დამნაშავის გადასახლებისა, რომელიც ნაჩვენებია ზემორე მოყვანილს მუხლში. ხოლო 26 მუხლი კავკასიის დაწესებულებათა, აი, რას ამბობს: ყველა ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომელნიც მთავრობისაგან გასაძევებლად აღნიშნულნი იქნებ ან, ყველა კი არ უნდა განიძეონ, არამედ მხოლოთ ისინი, რომელთაც ჩაუდენიათ ის დანაშაულობა, რომელიც მოხსენებულია კავკასიის დაწესებულებათა 29 მუხლში.

ხოლო ზემოხსენებული მუხლი, აი, რას ამბობს: თუ რომელსამე კავკასიის კუთხეებში გაბშირდა წინააღმდეგობა მთავრობისა და მის მოხელეთა წინააღმდეგ, ან თუ გამრავლდა მკელლობა, ცარცვა-

გლეჯა, საქონლის პარვა და ყაჩაღების დაფარვა,— მაშინ მთავარ-მართებელს აქვს უფლება ადგილობრივი მუნებური მცხოვრები, რაკი ნამდვილათ დარწმუნდება, რომ იგი ზემოხსენებული ბოროტების ჩამდენია, გაგზავნოს კავკასიის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, რომ იქიდან არსად ექნეს წასვლა-წამოსელის უფლება დადებულ ვადამდის, ან სულ განაძევოს კავკასიიდან იმ ალაგს რუსეთისას, რომელსაც შინაგანი საქმეთა მინისტრი დაუნიშნავს საცხოვრებლათ; ორივე გვარი განკარგულება ისე არ მოხდება, რომ წინდაწინ არ იყოს კავკასიის მთავარ-მართებლის რჩევაში განხილული და დამტკიცებული.

ამის გამო სენატმა, განიხილა რა კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულება, მისი დირექტორის მიერ აგვისტოს 6 1883 წელს მიწერილი თერგის მაზრის უფროსისადმი, დაადგინა: მოიშალოს ამიერიდან ასეთი განკარგულება, რადგან ეს აღემატება მთავარ-მართებლისადმი მინიჭებულ უფლებას და ამაზე უნდა გაეგზავნოს კავკასიის ჯარების მხედართ-მთავარს საკუთარი უქაზი.

ასეთი განკარგულება სენატისა დიდ ნუგეშს აძლევს ყოველ ქვეშევრდომს იმისას, რომ ვინიცობაა რაიმე უსამართლობა დაატყდა კერძო პირს თავზე, თუნდ უმაღლესი მთავრობისგანაც, ბოლოს სამართლიანობა საქმისა მაინც თავისას გაიტანს, მხოლოთ უსამართლოთ გაუბედურებული არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას და ყოველთვის მხნეთ უნდა იძიოს უმაღლეს მთავრობისა და დაწესებულებათა კალთას ქვეშ მფარველობა და სიმართლის აღდგენა.

* * *

წარსულ კვირას დავესწარი ქალაქის სხდომაზე. ერთი შესანიშნავი ცვლილება მეცა თვალში. იქ, სადაც თვით ქალაქის გამგეობა სხდება ხოლმე, სკამები დაცალიერებული იყო. თავის ადგილს აღარც ქალაქის თავი იჯდა, აღარც ზოგიერთი წევრები. როგორც ახლათ არჩეული ქალაქის თავი, ისე მისი ახალი წევრები თითქოს ჭირიანსავით აღარ ეკარებიან ქალაქის გამგეობას. ჩანს, რომ იმათ გული გულის ალაგას არა აქვთ. რალაც ხატზე გადაცემული შეიქნა დღევანდელი თფილის ქალაქის გამგეობა. მას კარგი ბოლო არ უნდა ჰქონდეს, როგორც ძმისა და მეზობლის შეუთვისებელს.

მას აქვთ, რაც ამ გამგეობამ თავის მოუფიქრებელი წინამძღომელის მეთაურებით წარსულ არჩევნებში ქართველი ხმოსნები შემოირეკა, თითონვე მიუსაჯა უნაყოფიერობის სასჯელი თავის თავს. ეს ოთხი წელიწადი მართლაც რომ საკვირველი უნაყოფო და უმაქნისობის დროა, თბილისის ქალაქის გამგეობაში. არც ერთი საქმე ისეთი არ გამოწყებულა, რომ ქალაქის ცხოვრების მატიანეში აღნიშნულიყო კეთილმდგომარეობის მომასწავებლათ. ქალაქის გამგეობა ამ გასულ ოთხ წელიწადს მუდამ ებრძვის ძველი შეცდომების გამოსწორებას, მაგრამ ვერა გაუწყვიარა; სულ უფრო და უფრო ეფლება უმაქნისობისა და არარაობის ფლატეში. დროა ქალაქის გამგეობა და ქალაქის ხმოსნები, ახლანდელი ქალაქის მეთაურები ჩაუფიქრდენ თავის წარსულ შეცდომებს და მომავალ არჩევანებში ისე არ გაამწვავონ საქმე, რომ სულ გარიყული არ დარჩენ. დროა ახლავე შეინანონ თავისი წარსული შეცდომები და მეზობლებს გულახდით შეურიგდენ.

* * *

გასულ კვირაში სხვათაშორის ერთი შესანიშნავი საკითხი იყო განხილული ქალაქის სხდომაზე. კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროს გამოუგზავნია ქალალდი ქალაქის გამგეობისათვის შემდეგი შინაარსისა:

მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში უნდა დაარსდეს საშუალო სატეხნიკო და სამეურნეო სკოლაო. ამისთვის კარგი იქნებაო, რომ თბილისის საბჭო და მისი გამგეობა გადაწყვეტდეს, რაც უნივერსიტეტის გახსნისათვის ფული გადადებული, ამ სკოლას გადმოსცენ და, ამას გარდა ქალაქს რომ სახელოსნო სასწავლებელი აქვს, იმის მაგიერათ ერთი დაბალი ხარისხის ტეხნიკური სკოლა გაგვაღებინონ და, რაც ფული სახელოსნო სკოლისთვის იხარჯება, წლიურათ ჩვენ გადმოგვცენო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის სახელოსნო სკოლა თავისი საკუთარი პროგრამით არის გახსნილი, საცა რუსულათ, ქართულათ და სომხურათ თანაბრათ ასწავლიან, მაშინ როდესაც მომავალს პირველ დაწყებით ტეხნიკურ სკოლას მიუცილებლათ თავის ახალი შედგენილი პროგრამა ექნება, საცა მუნებური ენების სწავლება არ იქნებიან შეწყნარებული. ამის გამო ქალაქის საბჭომ ასე გადაწყვიტა: რადგან ქალაქ თბილისში სახელოსნო სკოლაც არის გახსნილი და ამასთანავე პირველ დაწყებითი რკინის გზის სატეხნიკო სკოლაც, ამისთვის ახალი პირველ დაწყებითი სატეხნიკო სკოლის გახსნა ქალაქის სახელოსნო სკოლის მაგიერათ უალაგო იქნებაო.

ჩვენ კავკასიის მზრუნველისაგან ქალაქის საბჭოსადმი გაგზავნილ ქალალდში რაღაც არა დროისა და ერის მოთხოვნილების შესაფერ მისწრაფებას ეხედავთ. ან სამინისტროს რაში დაჭირდა ქალაქის შემწეობა, ახალი სატეხნიკო სკოლის გახსნისათვის. ის არ ეჭვობინება, რომ ქალაქმა, აწარმოვოს თავის საშუალებით თავისი სახელოსნო სკოლა, ხოლო სამეურნეო სამინისტრომ გახსნას თავის მხრით სატეხნიკო სკოლაც და ქალა-

ქი, რასაკვირველია, შეძლებისადაგვარათ თავის შემწეობას არ მოაკლებს, გინდ საჭ-რო საქალაქო ადგილების დათმობით, გინდ ფულით.

ამას გარდა საშუალო პროგრამის სატეხნიკო სკოლა რა უნივერსიტეტის მაგვერია. ქალაქმა და მისმა საბჭომ 1880 წლებში განიზრახა და კიდეც გადაწყვეტა, უკეთუ უმაღლესი მთავრობა ინებებს კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნას, ქალაქი თბილისი შეწირავს ას დესეტინას საქალაქო მიწას და ორმოც-და-ათი-ათას მანეთს, რომელიც დღესაც გადადებულია მისთვის. ახლა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ურჩევს ქალაქს გამგეობას და მის საბჭოს: რადგან გადაწყვეტილია სამინისტროსაგან ქ. თბილისში საშუალო პროგრამის სატეხნიკო სკოლის გაღება, მოდი, თქვენც ეგ საუნივერსიტეტო ფული და ასი დესეტინა საქალაქო მიწა ამ სკოლას გადაეცითო. აი, ამას ჰქვია: „პური გთხოვე და ლოდი მომაწოდეო“.

მაზაკვლი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ჩვენი დიდი თეატრი დამთავრდა. „ამ შენებელ კომისიამ“ ჩაბარა უკვე შენობა. გუშინ, შაბათს შუადღის 2 საათზე აკურთხეს და ხალხი მრავალი დაესწრო. ამაღამ 8 საათზე იქნება პირველი წარმოდგენა, რომელზედაც მხოლოთ მპატიჟებული საზოგადოება დაესწრება.

* * *

ამ ცოტა ხანში გამოიცემა ახალი ხუთ მანეთიანი.

* * *

ჩვენი ლიტერატურის მოყვარული ვ. ლ. ველიჩკო, რომელიც ხშირათ თარგმნის აკაკი წერეთლის და ილ. ჭავჭავაძის ლექსებს, როგორც გაზეთები გვაცნობენენ, დაუმტკიცებიათ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორათ და იანვრიდან შეუდგება თავის საქმეს.

* * *

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკს გადაწყვეტილი აქვს ორასი თუმანი დ. ი. ყიფიანის ძეგლის დასადგმელათ. ახლა, როგორც შევიტყეთ, ზედამხედველი კომიტეტი შედგომია ამ საქმის განხორციელებას, მიუნდვია მხატვარ გ. გაბაშვილისთვ-ს, რომელიც ამ ცოტახანში უნდა გაემგზავროს მიუნხენში, რომ მან იშო

რებთაგან სულ 3,400 კაცი; ამ რიცხვიდან 100 ოსი დანიშნულია ოსების ცხენოსანთა ჯარში. დანარჩენი რიცხვიდან 1,488 კაცი დანიშნულია რვა ადგილობრივ მუნებურ ჯარებში და 1,812 კაცი კი რუსეთის ჯარებში.

* * *

მომავალ საქალაქო არჩევნების გამო შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ ვისაც ვაჭრობის (გილდის) მოწმობა აქვს და ამომრჩეველთა სიაში შეტანილია, იმას თუნდ გადასახადი ემართოს მაინც შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

* * *

ვაგარშაპეტიდან გაზ. „მშაკის" კორესპონდენტი იწერება, რომ ოსმალოდან დღემდის გამოსულა სულ 1,270 კაცი; იმათში 1,212 სომეხია. უმეტესი მათგანი საზრდოს მოსაპოვებლათ გაემგზავრა ერევანში, ბაქოში და თბილისში: დანარჩენმა თავი შეაფარეს ვაგარშაპეტში.

* * *

ს. სჩინოდან (ქვემო იმერეთი) გვატყობინებენ, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში ვიღაც ბოროტგანმზრახველთ შუაღამისას ცეცხლი წაუკიდებიათ ურიების დუქნებისათვის, რომლებიც ორ-წყებათ იყო გაშენებული სოფ. ვანში. ასზე მეტი დუქანი იყო სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონლ-თ სავსე და მხოლოთ ორი თუ სამი გადარჩენილა, დანარჩენი სულ გადა მწვარა. ზოგს გამოუსწვრია ცოტაოდენი საქონელი, ზოგს კი ვერა.

* * *

„წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა" აპირებს „ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილის გამოცემას, რადგან ეს წიგნი აღარ არი გასაყიდი. დაბეჭდის დროს მხედველობაში მიიღებენ განსაკუთრებით მარიამ დედოფლის ვარიანტს.

* * *

ჩვენ მივიღეთ „წერა-კითხვის გამჯგრცელებელ საზოგადოების" გამოცემა სახალხო სიმღერები სხვადასხვა „სალამური", გადაღებული ნოტებზე ს. ჩხიკვაძისმიერ. გამოცემა სუფთაა, შეიცავს 35 სიმღერას ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეების კილოს. მხოლოთ ერთი სასიელდობრ: სიტყვები, „ჯერ შრომა მერე სტობა", ჩვენ სალსურათ არ მიგვაჩნია. ფასი სალამურისა ოცია (25 კაპ.) და იმედია ხალხში გავრცელდება.

* * *

გამოვიდა ახალი წიგნაკი „რას იტინი?" ორაკი თომაანთ კობასი, გამოცემა ქედილისა და ი. იმედაშვილისა. ფასი 3 კაპ. (გვ. 20).

ᲦᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ხელმწიფე იმპერატორის მოგზაურობას თავისი უაეგუსტესი მეუღლით და პირმშო შვილით თურთ ძლიერ დამამშვიდებელი გავლენა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებზე. თვით ევროპის უძლიერესი სახელმწიფოები, დაიმედებული რუსეთის ხელმწიფის კეთილგანწყობაზეით, გულახდილი მხიარულებით ელოდენ მის ნახვას.

მართლაც ჩინეთ-იაპონიის ომში რომ რუსეთის პოლიტიკამ გაიმარჯვა მშვიდობიანობის გზაზე, მას აქეთ მთელი ევროპის სახელმწიფოებიც ყურმიგდებული არიან და დღემდის ყველანი ხელმძღვანელობენ მისი სურვილით. ჩინეთ-იაპონიის ბრძოლის დასამშვიდებლათ რუსეთის სახელმწიფომ იკისრა გარეშე პოლიტიკაში წინამძღვრობა და იქ რომ გაიმარჯვა, ეს იმის თავდები შეიქნა, რომ დღემდის რუსეთი ხელმძღვანელი იქნებოდა მთელი ევროპ ს გარეშე პოლიტიკისა.

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი თ. ლობანოვი მარჯვეთ მიხვდა ევროპის სახელმწიფოების მაჯის ცემას და გულახდით, პირდაპირ გამოაცხადა ახლანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში საერთო მიზანი.

როდესაც იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა და, ამით გამედიდურებული, ფიქრობდა ჩინეთის იმპერიის დამხობას, ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ მთელი ევროპის ხმელეთის მპყრობელნი შეაძრწუნა. არავის არ ეჭაშნიკა ისეთი ახალი პირობების დაარსება აზიაში, რომელიც მომავალში საშიში იქნებოდა ყველასთვის, გარდა ინგლისისა. მხოლოთ ერთი ინგლისი იყო იაპონიის მომხრე და კიდეც აქეზებდა: „გაბედე, ნუ გეშინია, მე მოკავშირეთ გეყოლებიო". აი, ამ დროს ძლიერ ხმას რუსეთისას მიჰყვა მთელი ევროპაც. რუსეთის პოლიტიკა ამ დღიდან შეიქნა მძლეველი და ხელმძღვანელი მთელი ევრობისა აღმოსავლეთის საქმეებში. რუსეთს მიემხრო გერმანია, სა-

ფრანგეთი და მათთან მთელი ხმელეთის ევროპაც. იაპონიამ ჩააგო ხმალი და დამყუდრდა. ამით ევროპას თავიდან მოცილდა საშიში ქუხილი.

ამგვარი რუსეთის პოლიტიკის შორსგამჭვრეტელობა დღეს კიდეე უფრო შეიგნეს ევროპის სახელმწიფოებმა, როცა ოსმალეთის სახელმწიფოს საქმეები ასე აიწეწა და მისი ხელ-ქვეითი სხვა-და-სხვა ტომის ხალხები მიდარაჯებულნი არიან, როდის იქნეს ფეხი წაუბორძიკდეს, დაეცეს, ჩვენ მიეესიოთ და ნაწილ-ნაწილათ გავიტანოთო.

მართლაც რა იქნებოდა ახლა, რომ ჩინეთ-იაპონიის ომი აქამდის გაგრძობილიყო და ევროპის სახელმწიფოებს მოცლა არ ჰქონოდათ ოსმალეთის არეულობისთვის ჯეროვანი ყურადღება მიეპყროთ.

დღეს რუსეთის პოლიტიკა ისაეე ისაეე მშვიდობიანობის გზას მისდევს, როგორც ჩინეთ-იაპონიის ომის დროს და ამაში მდგომარეობს მისი ძლევა-მოსილობა. ყველა ევროპის სახელმწიფოები თანაუგრძნობენ რუსეთს ამ მიმართულებაში, რადგან ყოველს მათგანს ახლა თავისი შინაური საქმეები აწუხებს და ერთი მეორესთან უთანხმოებით არიან. ყველას თავისი ჭია აქვს გულ-გვამში გაჩენილი, რომელიც ღრღნის მის აგებულებას და თავი აღარ აქვს გარეშე აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევისა. მაგალითათ, ისპანიას ძალიან უჭირს საქმე თავისი მდიდარი კუნძულის კუბის განდგომილებით, რომელსაც ეხმარება საიდუმლოთ შეერთებული შტატები, და ლამის მისი ღონე ამ განდგომილებამ იმსხვერპლოს. იტალია გაება აბისინიასთან ომში და არ იცის, რითი გათავდება ეს ბრძოლა; ყოველ შემთხვევაში მისი სახელმწიფო შემოსავლის წყაროები ძალიან დაშრო ამ ბრძოლამ. გერმანია და ინგლისი გადაიკიდენ აფრიკის კოლონიების გულისთვის.

ინგლისი პატრონობს მთელ სამხრეთის აფრიკას. გერმანიამ დაუწყო ჩხიკინი და ეს არის მიზეზი, რომ იმათ შორის საქმე ძალიან გამწვავებულია. დიდი ხანი არ არის, რომ ცანციბარის სულთანი ჰამიდი მოკედა და რადგან იმისი ერცელი სახელმწიფო ინგლისის მფარველობის ხელში იყო, ინგლისს უნდოდა თავის სასიამოვნო პირი გაემეფებინა; მაგრამ გერმანიამ საიდუმლოთ მოკამთე აღმოუჩინა და ძალით სულთანი მიგზავნა ცანციბარის ტახტის დასაჭერათ; ინგლისს ეს არ იამა, შემოარტყა ცანციბარის ქალაქს ჯარები და კალიდის სასახლეს ზარბაზნები დაუშინა. კალიდი გაიქცა და გერმანიის საელჩოში შეიფარა თავი. ინგლისის მთავრობამ მოთხოვა გერმანიას, კალიდი მოგვეცეო. გერმანიამ უარჰყო და ამის გამო გადაემტერენ ერთმანეთს ეს ორი სახელმწიფოები. ასეთ საზოგადო არეულობაში ერთათ-ერთი რუსეთის სახელმწიფო შეიქნა საზოგადო მყუდროების დამცველი; იმას არ სურს, რომ ამ ჟამათ ოსმალეთის სახელმწიფოში გამოწვეულმა არეულობამ საერთო ომი გამოიწვიოს ევროპის სახელმწიფოებს შორის და ამის გამო თვით ევროპის სახელმწიფებიც ძალიან მადლიერნი არიან რუსეთის ხელმწიფისა, რომ იმათი შინაური საქმეების აწეწის დროს რუსეთი შექნილა ევროპის მყუდროების დარაჯათ და მფარველათ. მაგრამ როდემდის უნდა გაგძელდეს ასეთი მდგომარეობა. ყველამ იცის, რომ ოსმალეთის სახელმწიფო თანდათან ირღვევა, ერთხელაც არის, უნდა დაიქცეს. მაშასადამე, დღეინდელი მყუდროება ევროპის პოლიტიკაში ნუ თუ იმას არ ამტკიცებს, რომ ჭრილობას ღრმათ აქვს ტანში ფესვები გადგმული და ზეიდან მალამოს დადება იმას ვერას უშველის. უნდა ეიცოდეთ, რომ თავ-დავიწყებული იარა შიგნიდან მაინც განაგრძობს მუშაობას და ნელ-ნელა ტანის რღვევას. ხოლო ასეთ მუშაობას შინაგანი სენისას რა შედეგიც მოაქვს, ეს ყველამ კარგათ უნდა ეიცოდეთ.

Х. Х.

---

* * *

ან არ ამოაქვს ოხერას ტანჯვა,
გულის ნაღველი,
ის შიგვე რჩება, ვით ბუჩქნარში,
მხიბლავი გველი.
თან არ ამოაქვს ოხერას დარდი,
გულის წუხილი,
ის შიგვე რჩება, როგორც ვარდში,
შხამ-კბილა მღილი.
ოხერა ვერ გაშლის შუბლის კანსა
დაირიბებულს,
ის ვერ ჩააქრობს გენიასა
გულში აღგზნებულს;
გულს გული უნდა თვისთა ჭირთა
თანამგრძნობელი,
არა ჰყავს იგი, კუბო არის
მისთვის სოფელი!

ი. ეგდოშვილი.

ნეკროლოგი.

ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი.

ᲒᲐᲜᲬᲣᲮᲐᲠᲝ ამბავი მოგვივიდა პეტერბურგიდან. იქ გადაცვლილა ჩვენი წარჩინებული ენის მცოდნე და ქართული მწიგნობარი ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი. ჩვენის აზრით, ის უნდა ყოფილიყო ორმოც-და-ჩვიდმეტ-თერამეტის წლისა, ჯერ კიდევ მოწიფულობაში და ამისთვის უდროოთ დაკარგულათ უნდა ჩათვალოს ჩვენი ლიტერატურის თვის. მთელი თავისი სიცოცხლე მან შეწირა ქართული ენის, ქართული ისტორიის და მწიგნობრობის შესწავლას. ის კარგა მოზრდილი შეიყვანეს 1850 წლებში ქუთაისის ღიმნაზიის პანსიონში. საკვირველი სიმკვირცხლე ნიჭის გამოიჩინა მან. მეოთხე კლასის შეგირდი მეშვიდე კლასიანებს ებაასებოდა ხოლმე სამეცნიერო საგნებში.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი რომ გაიხსნა, ნ. ტ. დადიანი აირჩიეს ბანკის დირექტორათ და ბ. ღოღობერიძე რომ გადაიცვალა, მას შემდეგ უწვევდა ქუთაისის ბანკს პატრონობას. როდესაც შედგა კომისია „ვეფხის-ტყაოსნის“ სარკვევათ, თ. ნ. ტ. დადიანმა პირველათ აქ გამოიჩინა თავისი საფუძვლიანი ცოდნა ქართული ენისა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროთ კომისიამ ვერ დაიფასა და ჯეროვანათ ვერ გამოიყენა მისი საფუძვლიანი შემეცნებანი შესახებ „ვეფხის-ტყაოსნის“ დედნების შედარებისა. ნ. ტ. დადიანი იყო საუკეთესო ქართული პატრიოტი და ყოველთვის მზათ იყო რითიმე დახმარებოდა ქართულ ლიტერატურას; ის მუდამ ტრიალებდა ქართულ მოღვაწეებში და ყოველივე კარგის თანამგრძნობელი იყო. მან შეაგროვა შვენიერი ქართული ხელნაწერების წიგნთ-საცავი. ამ ხელ-ნაწერებ შორის მას ჰქონდა ძვირფასი ძველი ეგზემპლარებიც. ამბობენ, ერთათ-ერთი ეგზემპლიარი ძველი „ნებროთის წიგნისა“ იმას ჰქონდაო. სამწუხაროთ, 1880 წლებში სახლი დაეწვა მას და ეს ძვირფასი მისი ბიბლიოთეკა ცეცხლმა იმსხვერპლა. უკანასკნელ ხანებში ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ ახალგაზდა წრეში, რომელმაც განიზრახა ქართული გაზეთის გამოცემა ქ. ქუთაისში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიკვდილს არ მოესწრო, მისი თანამშრომელობა ძალიან მოეხმარებოდა ქუთაისის წრეს. „კვალის“ რედაქცია ბევრს ეცადა, ქუთაისშიაც მიიწერა განსვენებულის მახლობელ მეგობრებთან, მაგრამ თ. ნ. ტ. დადიანის სურათი ვერ მოიპოვა. ეთხოვეთ, თუ ვისმეს აქვს მისი სურათი, მოგვაწოდოს „კვალში“ დასახატავათ.

თვალთ-მაქცები აღმოსავლეთში.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ხშირათ შეხვდებით ხოლმე ათასგვარ თვალთ-მაქცებს, რომლებიც სხვა-და სხვა თვალთ-მაქცობით ართობენ ხალხს. მაგრამ უფრო გავრცელებულია თვალთ-მაქცობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც გრძნეულებას და გულთმისნობას მეტათ ღრმათ აქვს მოკიდებული ძირი ხალხის რწმენაში. საზოგადოთ თვალთ-მაქცობა უფრო ინდოეთშია გავრცელებული. არა ნაკლებათ შეხვდებით თვალთ-მაქცებს ჩრდილოეთ აფრიკაშიაც, მოროკოდან დაწყებული ეგვიპტემდე, სადაც ათასობით დაეხეტებიან ყოველ გვარი ცეცხლის-მყლაპველნი, გრძნეულნი, გულთმისანნი, გველის მომთვინიერებელნი და სხვ. და აგრეთვე უბრალო ქუჩის თვალთ-მაქცები, რომლებიც სხვედან ხალიჩაზე და თავის „ხელობას“ აჩვენებენ მაყურებელთ ორიოდ გროშისთვის. რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი ამ გვარ თვალთ-მაქცობისა ადვილი შესასრულებელია და არც დიდ მახვილ-გონიერებას თხოულობს, მაგრამ ხანდისხან იმისთანებსაც შეხვდებით, რომ განათლებულ ევროპიელსაც გააკვირვებს და გაოგნებს. წარმოიდგინეთ, ცას ქვეშ, ყველას თვალ წინ, ვისიმე დაუხმარებლათ, ცარიელ ადგილზე აიმართებიან მცენარენი, ცხვირსახოცის ქვეშ გამოჩნდებიან ყვავილები და ხილი და მერე ხელ-ახლა ჰქრებიან. რა არის ეს? ნუ თუ სასწაულთ-მოქმედება ან გალიუცინაცია (თვალის მოტყუილება)? მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს მოვლენა გასაკვირველი არ არის? წარმოიდგინეთ: ერთი კაცი, და ისიც ტიტველ-შიშველი გლახა, იმ ზომამდე ხიბლავს მაყურებელთ, რომ ეს უკანასკნელნი ჰხედვენ იმას, რაც თვალთმაქცს სურს და რაც სრულებით არ არსებობს. აი, სადამდის ახწევს ჩაგონებითი ძალა, რომელსაც ევროპის მეცნიერებმა მიაგნეს მხოლოთ ამ ერთი საუკუნის წინეთ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲐᲡ. ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ მცირე ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კვალში“ შემდეგ შენიშვნას.

სამს წელიწადზე მეტია მას აქეთ, რაც ზოგიერთმა პირებმა ქუთაისში განიზრახეს შავი ქვის საწარმოებლათ საქციონერო საზოგადოების დაარსება,

თვალთ-მაქცები ალიეერში.

სახელდობრ „ᲬᲘᲗᲣᲠᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲡᲜᲐᲒᲝᲑᲐ“. შეადგინეს და დაბეჭდეს პროექტი, გამართეს ხელის მოწერა და სხვ. ამ საქმეში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ისეთმა საპატიო პირებმა *), რომ ყველას დიდი იმედი მოგვეცა ამ საქმის სისრულეში მოყვანისა. ამიტომ ერთ საღამოს მოეუწოდე ჩემს სახლში ნაცნობებს და მეგობრებს და გავმართეთ ჩვენც, დ. ყვირილაში, ხელის-მოწერა წინდაწინ შედგენილი წესდების ძალით, რომელიც გადმოგვცა ერთმა შაეი ქვის მწარმოებელმა, ბ. ი. კაკაბაძემ. თითოეულმა ჩვენგანმა (ყველას რიცხვი აღარ მახსოვს) 500 მანეთზე მოაწერა ხელი, და ამ რიცხვის ანგარიშში 25 მანეთი მაშინვე გარდასცა ზემო ხსენებულ კაკაბაძეს იმ პირობით, რომ დანარჩენიც ორი წლის განმავლობაში უნდა შეეტანათ, თუ ამხანაგობა შედგებოდა. მე ვეფიქრობ, რომ ამნაირი ხელის-მოწერით რამდენიმე ათასი მანეთი იქნება შეკრებილი.

გადის სამი წელიწადი და არა თუ საქციონერო ამხანაგობაზე აღარა ისმის რა, ისიც არ ვიცით, თუ ეს წინდაწინ შეკრებილი ფულები ვის ხელში არის, ან რაში დაიხარჯა. ძალიან კარგს ინებებს, ვისაც რიგია და ზნეობითი მოვალეობაც, რომ გვაცნობებდეს, რაში დაიხარჯა, ან სად არის ჩვენგან შეტანილი ფული?

ალ. ივ. წულუკიძე.

* * *

ქ. ნიუ-იორკიდან მოგვივადა შემდეგი წერილი: ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი ჟურნალის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოეუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმ ომიჩინეს ფულით ამერიკაში წასასვლელათ. ქ. ბათომში. 20 მან. ნ. ღოღობერიძემ, სუთ-სუთი მან.: ი. ფორაქოვმა და მ. ბეთანოვმა; სამ-სამი მან.: კ. ჩხეიძემ, ფ. გოგიჩაიშვილმა, ტ. წერეთელმა, კ. თავართქილაძემ, სეფე ჩხეიძემ, ნ. ჯაველმა და ბ. ღლონტმა. ორ-ორი მან.: მ. შარაშიძემ, მ. თოთიბაძემ, მარო ელიავასამ, ექვ. ბერძნიშვილმა, ნინა ბერძნიშვილმა, ივ. ლომინაძემ და ვას. ბერძნიშვილმა. თითო მან.: ან. გალდაკაძემ, ალ. ლორთქიფანიძემ, ექვ. ჩხარტიშვილმა, იოსებ დუმბაძემ და ბლ. მ. ჩხიკვაძემ. 50 კაპ.: წულაძემ, და ბ. ღლონტმა მიიღეს ბიდეთი კონსტანტინოპოლამდის. დ. ოჩემჩირეში თითო თუმანი: მდ. ჯ. ხელაიმ და რ. მ. რგელიამ, 8 მან. ს. კოზმაკვამ, 5 მ.: ი. ჟორდანიამ, 4 მ.: მდ. სიმ. სვანიძემ, სამ-სამი მან.: მდ. ბ. საკობიამ, მდ. ფანტულაიამ, თ. ჩაჩავამ; 2 მ.: ლაკ. ურატაძემ. ბ.ბ. ანჩაკვამ, გ. გვასალიამ და გ. კვირაიამ გამართეს დ. ოჩემჩირეში სელის მოწერა და მომიგროვეს 40 მან. ქ. სოხუმში: მდ. ბ. სელაიამ, ან. ჯუღელმა და ი. ბუკაიმ სელის მოწერით მომიგროვეს 35 მან. 80 კაპ. დ. ზუგდიდში: თ. ოთარ ალდამკელიანმა 6 მ. ბ. ლ. ჩიჩუამ 5 მ. და ლეკან ანფაქიძემ სელის მოწერით მომიგროვა 11 მ. დ. ონქუმში: ვ. კანდელაკმა და ქაპ. ჩხენკელიასამ სამ-სამი მანეთი, ამ უკანასკნელმა სელის მოწერით მომიგროვა 10 მ. მაღლობის დაგვიანებაზე ბოდიშს ვიხდი.

ნიუ-იორკი. ალექსი გოგოსია.

ეს ყმაწვილი კაცი წავიდა ამერიკაში სწავლის მისაღებათ. უკვე სამი თვეა რაც ნიუ-იორკშია, „მაგრამ, რადგან ფული შემომელია, გვწერს იგი, იძულებული გავხდი ფიზიკური შრომისთვის მომეკიდა ხელი, და ახლა ემუშავობ ერთ ქარხანაში და როგორც შეუჩეველი მუშა ცოტა ფულს ვღებულობ, ასე რომ საჭმელ-სასმელზედაც არ მყოფნის. ამასთანავე ძალიან ვიღალები, ბევრი დრო მიმდის (დღეში 10 საათს ვმუშაობ) და თვით-განვითარებისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება. იმედი მაქვს შემდეგში, როდესაც ენას შევისწავლი, უფრო გამიადვილდება ცხოვრება, თორემ ენის უცოდინარობა ძალიან ხელს მიშლის, აქ სხვათა შორის მუშა ხალხისთვის საღამოობით სკოლებია გამართული, ერთ იმათგანში მეც დავდივარ და განსაკუთრებით ინგლისურ ენას ვსწავლობ. საზოგადოთ ნიუ-იორკში ბევრი რუსები არიან; მათ აქვთ თავიანთი საზოგადოება, მეც მიმიღეს წევრათ, მართავენ ლექციებს რუსულ ენაზე. ლექციები უფრო შეეხება ეკონომიურ კითხვებს. ამას წინეთ, რომელზედაც მე დაესწარ, წაიკითხა ბ. ლევინსონმა „Теорія денегъ“ ჩინებულათ და ძალიან საფუძვლიანათ“.

თუ ვინმე მოისურვებს ამ ყმაწვილს ხელი გაუმართოს, მისი ადრესი ჩვენ რედაქციაში მოიკითხონ.

* * *

ქ. ერევანი. ერევანი მდებარეობს საქართველოდან აღმოსავლეთ—სამხრეთის მხარეზე. სიდიდით ორი ქ. გორის ოდენა იქნება, უჭირავს დაბლობი ადგილი და მთლათ ევენახებშია ჩაფლული.

სამხრეთით ერევანს დასცქერის ზამთარ-ზაფხულ თოვლით შემოსილი არარატი, რომელსაც ერთი ჩვენი პოეტი „ნოეს კიდობნის მტვირთველს“ უწო-

*) ლ. ას—ნი, დ. ბ—ძე, კ. ზდ—ი, ლ. ლ, კ. ღ—ძე და დ. ხ—ლი.

დებს; ხოლო ჩრდილოეთით ასეთივე ალაგეზის *) მთა. ეს მთები ერთი მხრით სასარგებლონი არიან, რადგანაც ზაფხულობით აქაურობის ცხელ ჰავას აზომიერებენ, მაგრამ მეორე მხრით, მეტათ ხმელ სიცივეს ჰფენენ არე-მარეს, და ევნახისათვის ძლიერ მავნებელი არიან. ამიტომ აქაურები დაჰკრეფენ თუ არა ყურძენს, მაშინათვე ეაზსს მთლათ მიწაში ჰფლავენ.

ადგილობრივ მეურნეობაში პირველი ადგილი ბამბის მოყვანას უჭირავს, მეორე ევნახებს, მესამე ბრინჯს, ანუ, როგორც აქაურები უძახიან „ჩალ-



თუხ,“, და მეოთხე სხვა ჭინახულს. წელს აქეთ საზოგადოთ ყველაფრის კარგი მოსავალია. ბამბა ფუთი 8 მან. იყიდება, ყურძენი—ლიტრა 13—15 კაპ., ბრინჯი 20—25 მან. ჩალეარი, პური 15—20 მან. და ქერი 8—9 მან.

ერევნის დასავლეთ მხარეს არის ერთი შენობა, რომელსაც აქაური თათრები „შუშა-ბანდს“ (შუშის დარბაზს) უწოდებენ. ეს შენობა ერევნის მთავარ სარდლისა ყოფილა, რომლის სახელით ახლაც იხსენიებენ ამ დარბაზს. უფრო შესანიშნავი ამ დარბაზში ის არის, რომ კედლებზე რვა გამოჩენილ სპარსეთ-ერევნის ხანების სურათებია გამოხატული. ერთი ამ სურათთაგანი, რომელიც კარებს ზემოდან არის დახატული მეფე ერეკლეს სურათს ძალიან წააგავს. რამდენათ ეს მსგავსება ნამდვილია, ამის გამოკვლევა მცოდნე პირებისათვის მიგვინდია. შიგ დარაჯია დაყენებული მთავრობისაგან, რომელიც ამ ისტორიულ სიძველეს იცავს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო აქაური ქართველების გულ-ცივობა ქართული გაზეთების კითხვის შესახებ. ერევანში 50 მეტი სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქართველია, (ათი ქართველი ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მსახურებს) და წარმოიდგინეთ ერთი ქართული გაზეთი არაევის მისდის ერევანში!..

ტრ ჭომბარელი.

*) ეს სიტყვა თათრულია და ნიშნავს: „ოქროსთავიანი“.

ხმა საპატიმროდან

ხვისთვის სატრფოვ შეენერო მაისო,
საწამლავო, შხამო მხოლოთ ჩემთვისო!
შენ მასმინე, პირველი ხმა სიმწარის,
განშორება ჩემი სამშობლო მხარის.
რა ს მერჩოდი, რა გცოდე სამაგისო?
მომიწამლე შეება ტკბილი მაისო!
შენს დიდებულს ამწვანებულ ბუნებას,
ვარდს გადაშლილს, ნაზი მდელოს შეენებას,
ეელარ ეუკრძნობ, ვერ ვაძგერებ მისთვის გულს,
უკვე დახშულს, ბედისაგან დატანჯულს.
რათ გამწირე შენი მონა, მაისო,
და არ მოსპე განზრახვა ბოროტისო.
დაგიხატავს ათას ფერათ მიდამო,
ბაღით ისმინ ხმა ბულბულის საამო.
სავსე არის სიცოცხლით არე-მარე,
ყველა ხარობს, ყველაა მომღიმარე.
მე ტყვეთ ეზივარ, ვერას ვხედავ, მაისო,
მხოლოთ მესმის ბუნება სულ ყვავისო.
მანუგეშებს ღამით ბულბულის სტვენა,
დილით მერცხლის ჭიკჭიკი, ცელქი ფრენა;
სარკმელიდან ვეკერეტ ცის სივრცეში მის ფრენას,
თავისუფალს ნავარდობას, მოლხენას.
ჩემი ლხინი დღე და ღამე ცრემლია,

მზე ბრწყინვალე ჩემთვის მუდამ ბნელია.
მაგონდება სამშობლო წართმეული,
ნუგეშს არ მცემს კრული ბედი წყეული.
რას მერჩოდი სხვისთვის მნათო მაისო,
ჩემთვის ბნელო სუსხიანო ზამთრისო..

პატიმარი.

უცხოეთიდან.

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

სკოლა.

II *)

ყველა ზემოთ დასახელებულ საგნების სახელმძღვანელოთ ხმარობენ „საკითხავი წიგნის“ („Lerebuch“) მეორე ნაწილს. ეს გვარიანი დიდი წიგნია და შეიცავს სამ განყოფილებას. აქ ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე მასში მოთავსებული წერილების სათაურს. ნაწილი I. ბუნებისმეტყველებიდან: „ლითონები“, „ოქრო, „ვერცხლი“, „რკინა“, „ფოლადი“ და სხვ. (მათი ახწერა, თვისებები, სად მოიპოვება და სხვ.); აქ ზოგი ლითონი ლექსათაც არის აწერილი. „ვენახი“, „ვენახი ვიურტემბერგში“ (ვენახის ისტორია გერმანიაში), „კართოფილი“, „გერმანიის საეკონომიკო მცენარეები“, „შაქარი“, „ყავა“, „ბამბა“ და სხვ. „მცენარეთა მოვლა“, „მცენარეთა ავათმყოფობა“; აქ აწერილია სხვა-და-სხვა მავნე მწერები. „გველი“, „გერმანიის გველი“, ფრინველები (ცალ-ცალკე აწერილი), ოთხ-ფეხი ცხოველები და სხვ. აქა-იქ ჩართულია მოკლე მოთხრობები ზოგიერთ ცხოველების თვისებათა შესახებ: მაგ., „ერთი ძაღლი ბავშს პურს როგორ უნაწილებს“ და სხვ.; „ადამიანის სხეული“, „თავის მოვლა“ (ჰიგიენური დარიგებანი); „ადამიანის გადარჩენა სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევის დროს“; აქ ნაჩვენებია საშუალებები, თუ როგორ უნდა მოსულიერდეს მოწამლული, ცოფიანი ცხოველისაგან დაკბენილი, წყალში დამხრჩვალი და სხვ. „ჰაერი“, „ჰაერის სიმძიმე“, „ბარომეტრი“, „წყალი“, „ქარი“, „სითბო“, „ელექტრონის ტელეგრაფი“, „რკინის გზა“, „ორთქლით მატარებელი ეტლი“ და სხვ. ნაწილი II. აქ მოთავსებულია გეოგრაფიული აწერილობა ისე, როგორც ზეით პროგრამაშია ნაჩვენები, აქა-იქ უფრო ვრცლათ. ნაწილი III. ისტორია: „ეგვიპტე“, „სპარტა“, „ათინა“, ბერძნული ენა“, „სოკრატი“, „ბერძნების გასართობი“, „ალექსანდრე დიდი“, „რომი და რომაელები“, „ულკანასკნელი საუკუნე ებრაელთა სამეფოსი“ „ძველი გერმანელნი“, „არმინი, გერმანიის გამათავისუფლებელი“, „ქრისტიანთა ცხოვრება პირველ საუკუნეში“, „ხალხთა დიდი გადასახლება“, „მაომადი“, „კარლოს დიდი“, „პაპი გრიგორი მე-VII“, „მეფე ფრიდრიხ I“ და სხვ.: „ივანე გუსი“, „ვიურტემბერგი გრაფების დროს“, „კოლუმბი“, „ლიუტერი“, „რეფორმაცია“ (ვრცლათ), „გუსტავ ადოლფი“, „30 წლის ომი“, „ზავი, პრუსიის მეფენი“, „საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“, „ნაპოლეონი“, „1816 – 1817 წ.წ.“, „ვიურტემბერგის მეფენი“, „სხვა და სხვა საზოგადოებათა დაარსება“, „ფრანგ. გერმანელთა ომი 1870 – 1871 წ.წ.“.

ყველა ეს ამბები აწერილია საკმაო ვრცლათ და დაყოფილია მუხლებათ. ერთ-კლასიან სასწავლებელში მთელი ამბის ვრცლათ შესწავლას ვერ ასწრებენ, ამიტომ არც ყველა მუხლს კითხულობენ. მასწავლებელი მოკლეთ მოუთხრობს ჯ შემდეგ აკითხებს სხვილი ასოებით დაბეჭდილ მუხლებს, რაც მთელი ამბის მოკლე შინაარს შეიცავს, ხოლო წვრილ ასოებით დაბეჭდილს, რაც დაწვრილებითი აწერილობას წარმოადგენს, ტოვებს. ის წერილები, რომელნიც ასე არ განიყოფებიან (ე. ი. სხვილ ჯ წვრილათ არ არიან დაბეჭდილი), თვით მასწავლებელმა უნდა დაანაწილოს და ისეთი მუხლები შეარჩიოს, რომლებიც ამბავს მოკლეთ გამოხატავენ, თუ დრო დარჩა, ყველა მუხლებსაც წააკითხებს და შეასწავლის. ბავშები ამავე სახელმძღვანელოს ხმარობენ კითხვის, წერის, დიქტანტის და თხზულების გაკვეთილის დროს. ასე რომ ერთი და იგივე ამბავი სხვა-და-სხვა გაკვეთილში შედის და მით მოწაფის გონებაში სამუდამოთ რჩება.

დიდი ყურადღებაა აგრეთვე მიქცეული სიმღერის სწავლებაზე. ბავშის ზნეობრივ და გონებრივ გაწვრთნაში სიმღერას უეჭველათ დიდი ალაგი უჭირავს. შეიძლება მას რომელიმე ამბავი ან მოთხრობა სკოლის დასრულებას შემდეგ დაავიწყდეს, მაგრამ სიმღერა კი მუდამ ახსოვს, ის ჭირში და ლხინში სიმღერას მიმართავს. რაკი ესა სეა ამიტომაც, — რას უნდა მღეროდეს ხალხი — უდიდეს კითხვათ ხდება. ეს ჩინებულათ შეუდგენიათ გერმანელებს და სკოლაშიაც საპატიო ალაგი დაუთმიათ სიმღერისათვის. სიმღერის შინაარსი ორ-ნაირია: სასულიერო და საერო. საერო სიმღერებიც შინაარსით ორგვარია: დაბალ განყოფი-

*) იხ. „ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ“ № 45.

ლებებში ამღერებენ ისეთ ლექსებს, რომლებიც ბუნებას და მის მოვლენებს შეეხება, მაღალ განყოფილებებში კი განსაკუთრებით პატრიოტულ ლექსებს ამღერებენ. ამის მიხედვით შედგენილია სახელმძღვანელოებიც.

ხატვის განსაკუთრებითი სახელმძღვანელო არ არსებობს. მასწავლებელი ხატვის სკოლის დაფაზე სხვა-და სხვა გეომეტრიულ ფიგურებს, რომლებიც ბავშვებმა თავიანთ დაფაზე უნდა გადახატონ.

მთელი ეს სწავლების პროგრამა შეეხება ერთ-კლასიან სასწავლებელს. ორ და მრავალ კლასიანი სასწავლებლის პროგრამა იგივეა, მხოლოთ შინაარსით გაფართოებული და უფრო საესებით შემუშავებული. შესაძლებელია მხოლოთ, რომ ზოგ ალგებრას ფრანგულ ენასაც ასწავლიდენ, როგორც მაგ., ვილდბადის სახალხო სკოლაში, სადაც 9 მასწავლელი მუშაობს. ამ შემთხვევაში ყველა საგანს დაწერილებით სწავლობენ, თითო მასწავლებელს მხოლოთ თითო განყოფილება აბარია, აგრეთვე ვაჟები და ქალები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან. ვილდბადის უფროსმა მასწავლებელმა გადმომცა ზემოთ მოყვანილი „სწავლების ნორმალური პროგრამა“ და მითხრა: ჩვენი სკოლის საფუძველს ეს პროგრამა შეადგენსო; ჩვენ, მასწავლებლები, ამაზე ვამყარებთ სწავლების მეთოდს თანახმათ ჩვენი სკოლის პირობებისა და მოცალეობისა. სადაც მეტი დროა, იქ მეტს გადიან, ხოლო მეტი დრო არის იქ, სადაც მეტი მასწავლებელია.

ამ ქვათ შეცადინეობენ ირიბი ხელის მაგიერ პირდაპირი ხელით აწერინონ, მაგრამ, როგორც მასწავლებლებმა გადმომცეს, ჯერ-ჯერობით ამის განხორციელება შეუძლებელია. მუდამ ირიბულათ ეწერთ და ასე უცებ ამის შეცვლა ადვილი არ არისო. — ამ ათი წლის წინეთ ჩვენში დიდი დავა იყო ამ საგნის შესახებ, მითხრა დობელის მასწავლებელმა, — პირველათ ეს კითხვა ერთმა ექიმმა აღძრა 1882 წ.; მან ერთ თავის თხზულებაში [1]) დაამტკიცა, რომ ბავშვებს ჯანმრთელობის შენახვა აუცილებლათ პირდა-პირ ხელს თხოულობსო. მერე ამის შესახებ ბევრი ალაპარაკეს. ახლა ეს კითხვა პრინციპალურათ გადაწყვეტილია, — ყველამ იცის, რომ პირდაპირი ხელი ირიბულს ჯობს, ხოლო მისი სკოლაში გამეფება დროს მოითხოვესო.

საზღვარგარეული.

(შემდეგი იქნება)

[1]) „Körperhaltung und Schule oder schreiben und zeichnen als körperliche Thätrgkeit“ von Deiber. მასწავლებლები ცდილობენ ბავშვები ისე დასვან სკამზე, როგორც ამ წიგნშია ნაჩვენები.

ოსმალური ზღაპარი.

(ფრანგულიდან)

შემდეგი *)

ერთი ვეზირი წამოვიდა სასახლიდან ძალიან გახარებული, რომ ამისთანა კაი საქმე ჩაბარეს და საჩქაროთ გაექანა ჰასანთან, რომლისათვისაც უნდა გამოერთმია საჭირო ათასი ქისა ოქრო. ეს სპასელი გაძვერა კაცი იყო, ისე არავის არ მისცემდა ფულს, რომ თავისთვის კაი სარგებელი არ აეღო, ასზე ოცს მაინც უსათუოთ აიღებდა.

ათასი ქისა ოქროს მაგიერათ ჰასანი მისცემდა მხოლოთ რვა ასს ეს მისი ჩვეულება იყო. სულთანის ბრძანებით საჭირო იყო ათასი ქისა ოქროს გაგზავნა, დიდმა ვეზირმა მოუწერა ხელი ორი ათასზე და ჰასანისაგან კი მიიღო მხოლოთ ათას ექვსასი ქისა ოქრო.

იბრაგიმმა მოიტანა ეს ფულები სახლში. ექვსასი ქისა ოქრო დამალა თავის ლეიბში, რომელიც საკუთრივ იმის ტახტზე ეშალა და ათასი ქისა კი მოამზადა წასაღებათ სახელმწიფო ხაზინადართან, რომელსაც უნდა გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

იბრაგიმი იყო ოსმალების მოხელეთა ნამდვილი ტიპი და დიდი ხნიდან ჭკუთ სახელ-განთქმული. როდესაც დაინახა ხალიჩაზე ჩამწკრივებული ფულით ქისები, ოქროს სიყვარულის საღერღელი აეშალა. თავში აერია სხვა-და-სხვა აზრები.

— ნუ თუ ამ ლამაზი ფულის ხვედრი არის ტყვია-წამალზე დახარჯვა, ამბობდა სინანულით დიდი ვეზირი. — ფულებო, თქვენი მხიარული ჩხარა-ჩხური უნდა ზარბაზნების ზუილათ გადაქცეს! ეს ოქროთი სავსე ქისები-კი კვამლათ! არა, ცაგის ნებას არ მივცემ, ცოდვას არ ვიკისრებ. ალახი არ მაპატიებს ამას. მე ხომ ნამდვილი მორწმუნე მუსულმანი ვარ და რათ უნდა დავკარგო სამოთხე. თუ სუყველას ვერ გადაგარჩენთ, ლამაზო ოქროებო, ზოგიერთს ხომ მაინც ვეუშველი და ჩემ მოვალეობას ავასრულებ. თუ ყარსის ფაშას უსათუოთ მტრის გაქცევა უნდა, განა არ შეიძლება თითო თოფში ორ-ორი ტყვია ჩადოს, მაშინ წამალი ერთი ორათ ნაკლები დაიხარჯება და ფულიც ამის ნახევარი მოუნდება.

ამ გვარ ფიქრებმა იბრაგიმს სვინდისი დაუყუჩა, თუმცა არც აგრე რიგათ ეკითხებოდა მას. მან აიღო საჩქაროთ კიდევ ხუთასი ქისა და ლეიბში ჩადო იმ ექვსას ქისასთან.

რასაკვირველია, როდესაც ხაზინადარს ჩაუვარდა

*) იხ. „კვალი“ № 45.

ხელში დანარჩენი ხუთასი ქისა-ოქრო, იმასაც ისეთმა ფიქრებმა გაურბინეს თავში, როგორც დიდ ეზირს.

—ალახმა უწყის! წამოიძახა ახლა ამან,—თუ ყარსის ფაშა სულელი არ არი და მარჯვეთ მოიქცევა შეიძლებს ცოტა ტყვია-წამლით კარგათ იოლათ წავიდეს. იმის მაგივრათ რომ მტერს შორიდან ესროლოს ყუმბარები, დეე ისინი მოიახლოვოს თოფის მანძილზე; მაშინ არც ბევრი ტყვია-წამალი მოუნდება და ფაშასაც მიეცემა შემთხვევა თავისი გულადობა გამოიჩინოს. თუ თითონ არ ესმის ეს, ჩემი მოვალეობაა დავანახვო. ამიტომაც იმისთვის საკმარისია ამ ფულის ნახევარი—ორას ორმოც და ათი ქისა-ოქრო, დანარჩენ ორას ორმოც და ათს მე ავიღებ.

ქარავანის უფროსმაც, რომელსაც უნდა გაეგზავნა ეს ფული ყარსში, ასე თქვა:

—ორას ორმოც და ათი ქისა-ოქრო ერთი აქლემისათვის მძიმე საპალნე იქნება და ორისთვის კი ცოტაა. მე, როგორც ალახის მორწმუნემ, პირუტყვი უნდა შევიბრალო, თვით ყორანიც ასე გვიბრძანებს. მე ერთგული მოხელე ვარ ჩემი სულთანისა და ტყუილ უბრალოთ არ უნდა დავღალო აქლემები ამოდენა შორ გზაზე. ჩემი მოვალეობაა ეს სიმძიმე ორათ გავყო.

ასეც მოახდინა.

გულადმა მეაქლემემ, რომელსაც ჩააბარეს მხოლოთ ას ოც-და-ხუთი ქისა ოქრო, ხელი მოითბო. ის არც სვინდისს დაეკითხა, არც ბევრი უფიქრია, უიმისოთაც შემცირებული საპალნე კიდევ შუაზე გაჭყო.

მიეიდა თუ არა ყარსში ეს სუბუქი ქარავანი მეაქლემემ ჩააბარა ფაშას სამოც-და-ორ ნახევარი ქისა. ასე, ამ რიგათ დაცოტავდა ფული.

—სამოც-და-ორ-ნახევარი ქისა რა გამიხდება! წამოიძახა ყარსის ციხის თავმა,—მაგრამ რა ტყვია-წამალი უნდა ეიყიდო! ეს არი ახლა მდივანი ჩიოდა, რომ იმდენ წერილებს ეგზავნით ტყვია-წამლის სათხოვნელათ, რომ ქვეშა გამამელია ქაღალდების გასაშრობათო, მეც ავიღებ და იმას მივცემ, იმას თუ ეყოფა ეს ფული ქვეშის საყიდლათ.

მაშინვე ფაშამ მოიხმო მდივანი და უთხრა:

—ჩვენი დიდებული სულთანი გულთმისანია, მიმხვდარა რომ ჩვენ მდივანს, რომელიც ამოდენა ქაღალდებს გზავნის, უსათუოთ მათ გასაშრობათ ქვეშა გამოელეოდა და გამოუგზავნია სამოც-და-ორ-ნახევარი ქისა-ფული. იყიდე იმდენი ქვეშა, რომ გაგწვდეს რამდენსამე წელიწადს ქაღალდების საშრობათ.

რვა დღეს შემდეგ ყარსის ფაშამ აცნობა მის უდიდებულესობას სულთან სელიმს ორი სიტყვით თავზარ დამცემი ამბავი.

ამ ხანობით დარაჯების ფარაჯებს დიდი ჯაფა არ მოუვიდათ, რომ გადაეცათ კავკასიიდან სტამბოლს ეს ორი საშინელი სიტყვა: „აიღეს“. ე. ი. ყარსი აიღესო.

***

საბრალო ფაშა მაშინვე დაიბარეს სტამბოლში; მიეიდა თუ არა შებოჭეს და ჩასვეს საპყრობილეში. რამდენსამე დღეს ყარსის ციხის თავათ ნამყოფი ფაშა მარტოთ მარტო დამწყვდეული იყო. სამყოფი დრო ჰქონდა რომ ეფიქრა თავ-გადასავალზე და თავის გამართლებაზე! ერთ დილით წაიყვანეს მის უდიდებულესობასთან.

საწყალი ფაშა ხმა ამოუღებლივ უგდებდა ყურს სულთანის უსამართლო რისხვას და უსაფუძლო საყვედურს, როდესაც დაინახა რომ სულთანმა გული იჯერა და მოიქანცა ფაშამ თამამათ და ცხარეთ დაიწყო თავის გამართლება.

—შენ ბრძანებ, ხელმწიფეო ჩემო, რომ გამოგიგზავნე ტყვია-წამლის საყიდლათ ათასი ქისა ოქრო. მე რომ მიმეღოს ეგ ფული ტყვია-წამალს ბლომათ ვიყიდდი, მტერს არ გავამარჯვებინებდი და ყარსი შენი იქნებოდა, დიდებულო მეფეე! მაგრამ თუნდ ყორანზე დავიფიცავ რომ მე მხოლოთ სამოც-და ორ ნახევარი ქისა მივიღე. ეს თითქო ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ როდესაც კაცი დაფიქრდება ახსნა ადვილია. მე, შენ ერთგულ მონას, თუ ნებას მომცემ, დიდებულო ბატონო, აგიხსნა ყველაფერს, მაშინ აშკარათ გამოჩნდება, რომ დამნაშავე მე არაფერში არა ვარ. მართალია ბრძანება გაგიცია, რომ ათასი ქისა ოქრო გამოეგზავნათ ჩემთვის, მაგრამ, როგორც ზემოთა ვთქვი, მე მხოლოთ სამოც-და-ორ ნახევარი ქისა მივიღე. აშკარაა, რომ ეს ათასი ქისა ოქრო ოთხჯერ გაუნახევრებიათ; ამას ბავშვიც გამოიცნობს. ერთი სიტყვით შენ, დიდებულო სულთანო, ოთხჯერ გაგქურდეს, ახლა თუ გინდა შეიტყო ქურდები ვინ არიან, ამის შეტყობაც ადვილია—ეს ისინი არიან, ვის ხელშიაც იყო ფული. ყველაზე უწინ დიდი ეზირი ჩაჯიბავდა ნახევარს, ე. ი. ხუთას ქისას. მეორე იქნებოდა ხაზინადარი, რომელიც ირგუნებდა ორას ორმოც-და ათ ქისა-ოქროს, მესამე—ქარავანის უფროსი აიღებდა ას ოც-და ხუთს, უკანასკნელი იქნებოდა მეაქლემე, როელსაც ერგებოდა სამოც-და-ორ-ნახევარი ქისა. ამ რიგათ ხედავთ, რა ადვილი გამოსაცნობი ყოფილა, თუ ფული სად წავიდა.

ფაშის დამშვიდებულ და დალაგებით ლაპარაკის დროს სულთანი ხმას არ იღებდა. გეგონებოდათ, ვინც იცოდა ამისი ხასიათი, რომ თავს იმაგრებს—

ერთბაშათ გაანჩხლდება და ყველას თავ-ზარს დასცემსო. მაგრამ ასე არ მოხდა. ზოგჯერ სულ უბრალო საქმეზე გაანჩხლდებოდა, თავს ვერ შეიმაგრებდა და როდესაც მართლა დიდათ საწყენი და საშფოთო რამე გადახდებოდა თავს, გაშრებოდა და ციცათ მოჰყვებოდა ლაპარაკს.

—კარგი, ალი, შენ მაინც კაი შეომარი ყოფილხარ, ჩემი ერთგული მოსამსახურე და კაი გულის კაცი, გეტყობა ტყუილის თქმა არ იცი. მე შენ არ დაგიეწყებ და წართმეულ ხარისხსაც დაგიბრუნებ. რაც შეეხება საძაგელ იბრაგიმს, რომელიც თავი-და-თავი ქურდი ყოფილა, მაგ საქციელს არ შეგარჩენ და ძვირათ დაეუსვამ ჩემ ღალატს. მე ვაჩვენებ იმას, თუ სელიმ ფაშა რას უზამს იმ დიდ ეზარს, რომელიც გაბედავს და გაქურდავს თავის სულთანს. შენ მიხვალ, ჩემი ალი, მასთან საღამო ჟამზე ლოკვის წინეთ და მისცემ ჩემ მაგიერათ ამ წითელ აბრეშუმის ზონარს, რისთვისაც ეუგზავნი მაგას თითონ გაიგებს. გასწი...

ალი ფაშა გაყვითლდა; თავის სიცოცხლეში პირველათ ესმოდა ასე ციცათ წარმოთქმული სასჯელი, რომლის ამსრულებელი თითონ უნდა ყოფილიყო.

პირდაპირ, ხმალი-და-ხმალ მისვლა მტერთან, რომელსაც შეუძლია შენთან ბრძოლა, ან შეიარაღებულ მეომართან შეიარაღებული მისვლა, ფაშას დროს გატარებათ და ხუმრობათ მიაჩნდა, მაგრამ ამ აბრეშუმის პატარა ზორნით კაცის მოკვლა, მის ჯალათათ გახდომა სულს უხუთავდა, აშფოთებდა ამ გულახდილს, მართალ მეომარს.

რას გააწყობდა, ბრძანება გაიცა და უნდა სისრულეში მოყვანილიყო, რადგან სელიმ ფაშას არ უყვარდა არც ბევრი ლაპარაკი და არც ურჩობა. გულადი მეომარი ჩაფიქრებული გამოვიდა სასახლიდან და არ იცოდა, როგორ აესრულებინა ეს მძიმე მონდობილობა.

(შემდეგი იქნება)

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის მე-45-ტე №-'ში „განდეგილის" ლექსის მეხუთე სტრიქონში კორექტურული შეცდომაა. დაბეჭდილია: „გულს ტალათ ეაქცევ, სულს კვერათ", უნდა იყოს: „გულს ტალათ ეიქცევ, სულს კვესათ".

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

განცხადება

ქ. ქუთაისი.

კვირას, 3 ნოემბერს 1896 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან კ. ბ. ავალიშვილის და ბ. კოტე ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

საამოდ ბლო

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურათათ დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ჩერქეზიშვილისა ბ.ბ. ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, თუთბერიძე, ბალანჩიევაძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.

—

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს

ქ. გაბუნია-ცაგარლის ე. აბაშიძის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ზათაბალა

კომედია 4 მოქმედ. და 6 სურათათ მ. ნ. სუნდუკიანცისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძისა, ჩერქეზიშვილისა, ივანიძისა, ბ.ბ. ყიფიანი აბაშიძე, მარჯანიშვილი, თამიზიშვილი ⅆ სხვ.

—

კვირას 10 ნოემბერს

კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.

ქან-პოდრი

კომედია 4 მოქმედებათ ფრანგულიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ჩხეიძისა, ივანიძისა, ჩერქეზიშვილისა, ბ.ბ. ყიფიანი მარჯანიშვილი, ნემო, ბალანჩიევაძე, თუთბერიძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი ყველა წარმოდგენ სა 8 საათზე

რეჟისორი. ვ. ს. ალექსიევ-მესხიშვილი.

ექიმი გ. ი. ბაღრიძე

მ-იღებს ავათმყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კირპიჩის ქუჩა სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვისა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲐᲦᲔᲑ-ᲛᲘᲪᲔᲛᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ამით აცხადებს, რომ 10 გიორგობისთვეს, დილის 11-ს საათზე, დანიშნულია ქართულ თეატრის დარბაზში, ამხანაგობის წევრთა საერთო საგანგებო კრება ამ ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის მოსახსენებლათ და გამგეობისა და კონტროლის წევრთა ასარჩევათ.

(2—1)

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღგალტერია მარტივი, ორკეცად და საბანკო, 4) არითმეტიკა სანგარიშო ოთახთა, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) საკაწრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფულ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგეევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტუილიში.

(12—12)

„ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ“

პატივი მაქვს ვაუწყო საზოგადოებას, რომ მე გავაღე „აღმოსავლეთის მაღაზია“ რომელიც განსაკუთრებით იკაზრეს კავკასიის, სპარსეთის და საზოგადოთ აღმოსავლეთის საუცხოოთ დამზადებულ ნაწარმოებით. თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ № 4.

ი. ნ. მერკვილაძე.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე. საგინოვისა, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

ПРИРОДА И ЛЮДИ

Издается съ 1889 года

Пробный № высыл. за 7 к. мар.

Подписн. годъ начинается съ 1 ноября.

Журналъ „Природа и люди“ знакомитъ читателей въ живомъ и занимательномъ изложеніи съ чудесами природы и подвигами человѣческаго ума, въ различныхъ отрасляхъ науки и промышленности; сообщаетъ, въ общедоступной формѣ, точныя свѣдѣнія о всѣхъ замѣчательныхъ открытіяхъ и изобрѣтеніяхъ; раскрываетъ прошлое человѣчества и рисуетъ картины будущаго прогресса людей; наконецъ, служитъ общепонятнымъ истолкователемъ современной жизни.

52 ЕЖЕНЕДѢЛЬНЫХЪ ИЛЛЮСТРИР. номера по 16 стр. журнала фолъ.

12 КНИГЪ „ПОЕЗДОЙ БИБЛІОТЕКИ“ объем. отъ 160—200 стр. каждая.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ ВЪ РЕДАКЦІИ ЖУРНАЛА „ПРИРОДА И ЛЮДИ“

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: 5 РУБЛЕЙ БЕЗЪ ДОСТАВКИ, съ доставкою и пересылкою по Россіи 10 РУБЛЕЙ.

Издатель П. Сойкинъ. Редакторъ С. Грудзевъ.

С.-Петербургъ. Стремянная. № 12, собствен. домъ.

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Ноября 1896 г. Тип. М. Л. Ротиніанца — სტამბა, ბ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., №41